24/08/2020

სანამ ვინმეს მკვახე სიტყვაზე უპასუხებდე, ოცდაათჯერ წაიკითხე უფლის ლოცვა



ადამიანი ყოველდღიურად უნდა ზრუნავდეს თავისი სულის წვრთნისათვის. როცა ვინმე შენს საქციელს განიკითხავს,
რაც უნდა მართალი იყო, გაიხსენე, შენც ხომ განგიკითხავს სხვა უსამართლოდ. ასე გადაიტანე განკითხვა საკუთარ თავზე, რადგანაც რა საზომითაც მიუზღავ, იმავე საზომით მოგეზღვება.
თუ ჩვენ გვინდა ყველას ვუყვარდეთ, ჩენც უნდა გვიყვარდეს ყველა. თუ გვინდა სხვამ არ დაგვამციროს, არც ჩვენ უნდა დავამციროთ არავინ. არც ვინმე უნდა განვიკითხოთ. ვისაც გული სუფთა აქვს, ის ყველას სუფთად და წმინდად აღიქვამს.-ამბობს მაკარი დიდი. ხოლო, ვისიც სუფთა არაა და ვნებითაა სავსე, სხვაც ასეთი ჰგონია.
არ არსებობს უცოდველი კაცი მიწაზე. ჩვენ ყველანი დაჭრილები ვართ ცოდვებით. ამიტომ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს, სიყვარულით და მოწიწებით მოვექცეთ, ყველას შევუნდოთ, შევეცადოთ შევუნდოთ, შევეცადოთ შევუსმუბუქოდ დანაშაული და ვესწრაფოთ მშვიდობის დამყარებას.
არავის არ უნდა მივმართოთ ბრძანებლური ტონით. თუ გულში რისხვა გაგვიჩნდა, უნდა ვეცადოთ მის მოთოკვას, რადგან რისხვა ყოველთვის ბოროტისაგან არის და არა ღვთისგან. სანამ ვინმეს მკვახე სიტყვაზე უპასუხებდე, ოცდაათჯერ წაიკითხე უფლის ლოცვა, იგი დაგეხმარება სიმშვიდის შენარჩუნებაში.

ამონარიდი წიგნიდან “ჩვენთან არს ღმერთი”

karibche.ambebi.ge